

კაჟა ეტჳისელო

კოლხური
ფსალმუნები

100-ტომეული



გამომცემლობა „ანიკნაშვილი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
სახობალო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

თხზულებათა კრებული
100 ტომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ძალღება-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

ჰაჰა ეჭრისული



კოლხური ფსალმუნები

ტომი 31

2020



მთ. რედაქტორი

ჯემალ ჯინჯინაძე

პედაგოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2020

თბილისი, 0186, ა. შოთაბრძოლვის ხეივანი №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-838-0 (31 ტომი)



* * *

ვაჟა ებრისელი დაიბადა ხოვის რაიონის სოფელ ხორბაში. ბანათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი. ორმოცამდე წიგნის ავტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ქვეყნების ორმოცდაათამდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირე ანთოლოგია – „ოქროს მტვერანი“, აღექანადრა სმირნოვა-კოზლოვას მონობრაფია – „ბრიუსოველი – ალიო მაშაჰვილი“, ფილორ ტიუტჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა პოეტის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მომცველი ერთომეხუთი – „იმჟნ ნათელი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესპუბლიკის გამომცემლობა „მოლოდინმა“ გამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლხური უსალმუნაბი“-ს ხუთომეხუთის ათასზე მეტ გვერდიანი პირველი ტომი, რომელშიც ორიათასზე მეტი პოეტური ძეგლია იყო დაბეჭდილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა პოეტის მეორე, მესამე, მეოთხე ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიბეჭდა პოეტის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

ვაჟა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონობრაფიაა დაწერილი და ცალკე წიგნებად გამოცემული.

ვაჟა ებრისელი საქართველოს და მსოფლიოს რამდენიმე მცენიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მწერალთა, მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-მ და საქართველოს ეროვნულმა აკადემიამ დაიწეს ქართული პოეზიის რაინდის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და ბალაქტიონ ტაბიძის პრემიების დაწესების, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის დეკანოს მფლობისა და „დიოკურია 2005“-ის, მშვიდობის ოქროს პარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორდენის მფლობელის, სახალხო პოეტის, საქართველოს მწერალთა მცენიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღმა-საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ფაზისის საერო-სამცენიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის,



ავსჯანმართის მმართველობა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, სსპრთმშპ-ს განათლებისა და სსპრთმშპ-ს ვიცე-პრეზიდენტი სოფიალუკა შრტიმთმშპ-ს „კარპის“, „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრის, ჩარბლის, ზუბიდიის, სოპის, იყალთოს საპატრო მონაწილის, ათას-ათას ხუთასზე მეტზემდინარი ტომეშვილის „კოლხური უსაღმუნების“ (ოცდაათიათასზე მეტი ლექსი) ავტორის – ვაჟა ებრისელის ახალი, რჩეული „კოლხური უსაღმუნების“ ოცდაათტომეულის გამომცემა. გამომცემლობა „უნევერსალმა“ გამოსცა პრეზიდენტის ხუთასზე მეტზემდინარი, უმაღლეს პრეზიდენტულ დონეზე შესრულებული ტომეშვილი. 2019 წლის მიწვევებს გამომცემმა „კოლხური უსაღმუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენმა 90 ტომმა (უკლებლივ) მისი სინათლე იხილა 2020 წელს. გამომცემლობა დასაბუთდა ვაჟა ებრისელის კლასიკური პრეზიდენტის ავტორეშვილი, აბრეთვე, პრეზიდენტული მიძღვნილი ქართული და უცხოელი პრეზიდენტის, მმართველობისა და საზოგადო მოღვაწეების (ათასამდე ავტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცტომეული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ვაჟისის (კოლხეთის) საერთო-სამმართველო აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტის ვაჟანტურ აღბილზე ღია კენჭისყრით ერთხმად აირჩია ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი პრეზიდენტი, ქართული პრეზიდენტის რაინდი, ქართული კულტურის დეკანო, „კოლხური უსაღმუნების“ 100-ტომეულის ავტორი, იურიდიულ მმართველობა საპატრო დოქტორი, პროფესორი ვაჟა ებრისელი.

ბაზ. „სსპრთმშპ-ს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

ჰყავს მეუღლე – ბილდა სუხიშვილი (მწერალი) და ორი ვაჟიშვილი ზურაბი და დანი (ორივე იურისტი) და სამი შვილიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილი. იგი – მმართველობისა და ორი და).





პოეტის ასტრომეული „კოსმიური პოეზია“

ვაჟა ებრისელის შესახებ დიდი ხნის წინაც ვწერდი: „რუსეთში აკაკის და ბალაქტიონს, ღმერთი არ მიუყენს რომ შებადარო. ბავხარ ზღვის დღვას და ნაზ სიონსაც, რომ აზანზარებს წუმად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზღაპრული კოსმიური „უსაღმუნებოს“ ჯერ არნახული, ჯერ არ ბაბუნელი, ხუთასზე, ათასზე, ათას ხუთასზე მიტბვერდინი „ბაჯალო“, ოქროს ყდაში ჩასმული, ოცდაათტომეული წავიკითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარყვავი და... დღეს ძველის ბასაბუნად ხმამაღლა ვაცხადებ: ვაჟა ებრისელი არც რუსთაველს, არც აკაკის, არც ბალაქტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე პოეტს არა ჰბავს...

ის პრისტორიული კოლხეთის „ქუტაია“, არსის ჭალაში მგბარი მუხაა, რომელზეც ოქროს საწმისი ეკიდა (რომელიც ბერძენმა კი არა, კელაზგმა იაზონმა მიღესთან ერთად რომ ბაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელწვივის, აიეტის ხელით დარგული, ის ურჩხულ მოღარაჟი მუხაა, რომლის ცადავვიდ ტოტეზე, პოეტმა ოქროს საწმისის „ბონის“ მაგიერ თავისი „კოლხური უსაღმუნებოს“ იბაგმიუვლომელი ასტრომეული ლაკიდა და ბაანოცხლა, მიძინებული, ღავიწყების ნაცარმომილი, არა მარტო კოლხეთის, არამედ იმდროინდელი სამყაროს ოცდაათტომეუტზე მიტ საუკუნოვანი მითებით, ღებნდებითა და საოცრებებით დახუნდული ისტორია, რაც კომერსიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძველის, არც ერთ კალმოსანს არ ბაუკითები.

100-ტომეული... ძველის ბაჩნის დიდან, XXI საუკუნის რიქრაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ვილოსოფიური, რელიგიური, მითოური, ყოვლისმომცველი პოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძენია დღემდე...“

კოსმოსში კი...

დაბოლოს:

„აიეტის ზღაპრულ კოლხეთს, მტრობისა და სიძულვილის გგულეჟანი მისწოლია... მათ იცინან იმ ოწყება დღემდევის ისტორია“.

ბულნაზ ხარაიჭვილი

პოეტი, ბალაქტიონ ტაბიკის პრემიის ღაურიატი, ჯუმბერ ღეჟავას სახელობის მენენერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი





„ბულცივად ვხევიდი ყოველ ძეგას, ყოველ კაბეგას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიჟრ

(გაგრძელება)

პოეტის მეტყველება აქ საოცრად კეთილხმოვანია. სიტყვის ფაქტურა საოცრად ლბილი, გამჭვირვალე, მსუბუქი და ჰაეროვანი.

დიდოსტატის ფუნჯითაა შესრულებული შემდეგი ფერწერული ტილოც: „...და ჩემს მამულში ჩანჩქერები მოქუხს ფერების და ყველასაგან დაუფარავად ჩემი სიცოცხლე კვლავ ეფერება – ქართლის ველებზე ჩამოწოლილი მთათა ქარავანს“.

ამავე პათოსით, ამავე ემოციური და შინახედვითაა განათებული ლექსი „ლოდი არაგვზე“.

*

„მთა უღაყივით დაჰყურებს თავზე,

ჭიხვინებს თოვლს და

ზაფხული მოდის, –

შეყვარებული ნესტანის მსგავსი.

ტარიელივით ჩამომჯდარა წყლის პირას ღოდი



და ვეფხისტყავად აცვია ხავსი“.

ასე თვალწარმტაცად, მიმზიდველად დაგვიხატა პოეტმა არაგვის ხეობა, თხემიდან ტერფამდე მხატვრულ სამოსში გაახვია იგი. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ნ. ბარათაშვილის საყოველთაოდ ცნობილი სტრიქონები:

„ჰოი ნაპირნო,
არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო“.

ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი კოტე მელაშვილი წერს: „მკითხველს თუ ბებრის ციხისაკენ გაახედებთ, რომელზედაც ვაჟა ეგრისელი ამბობს: „აწმყოს და წარსულს დაბჯენია, როგორც ყავარჯნებს“, არ შეიძლება არ გაითავისოს მაღალი ესთეტიკური გემოვნებათა და ხელოვნების გასრულებულად პოეტის კიდევ ერთი ლექსი, რომელიც ისევ და ისევ ქართლს დასტრიალებს თავს:

*

„როცა ჩემი მზე მიიდრიკება,
დღე შედგება და
ჟამი უდმერთო,
მოკვდავი რომ ვარ, კიდევ ერთხელ
კვლავ მომაგონებს,
მე არ მოვითხოვ სანთელ-საკმეველს და ზიარებას,



წამოვიწევი და გაეხედავ
ქართლის მთა-გორებს
და... მე სიკვდილი დამეზარება“.

პოზიცია ნათელია, არჩევანი თემასთან, პრობლე-
მებთან მიმართებაში მკაფიოა. აქ გულწრფელობა
ისეთი სულიერი წყობის კუთვნილებაა, რომელიც
ცხოვრების დასასრულს აღიქვამს საბედისწერო დრა-
მად და კვლავაც სიცოცხლის მარადიულობის მოლო-
დინით ცდილობს სიკვდილის დაძლევას. ეს უკვე მარ-
თლმადიდებლური სულიერი მაქსიმალიზმია...

ლექსების „გამთენისა“, „კავკასიონი“, „ბაღში
კვირტების დგას ურიაშული“, „არაგვისპირას“, „არაგ-
ვი“, „ქართლის ველებზე წამომართულ მთათა ქარა-
ვანს“, „ლოდი არაგვზე“, „როცა ჩემი მხეც მიიღრი-
კება“ – ერთ მთლიანობაში აღქმა საშუალებას გვაძ-
ლევს ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთ-
ხის ფშავ-ხევსურეთის დიდებული საგალობელი მო-
ვისმინოთ, პოეტმა ეს ლექსები სხვადასხვა დროს
დაწერა და ისინი წიგნშიც „იქმენ ნათელი“-ს სხვა-
დასხვა გვერდზეა დასტამბული.

ვაჟა ეგრისელი განსაკუთრებული ფენომენია
ქართულ პოეზიაში. პოეტს უტყუარი შეგვრძნება აქვს
საქართველოს თვალწარმტაცი ბუნებისა. ამ მხრივ
საინტერესოა ლექსი „დიონისეს შემოსვლა ქართლში“
– დიონისემ ტყვიაგსა და შინდისს შემოდგომა მიაყუ-



ნა კარს. კასპში წაბლსა და შვინდს სამოსი შეუცვალა, გორში კი ვაშლებს ღოყა ვარდისფრად შეუღება, აშკარა გახდება, რომ საქართველოს თვალწარმტაცი კუთხის ქართლის პოეტური პეიზაჟი ვაჟა ეგრისელს ისევ კოლორიტულად, მიმზიდველად აქვს წარმოჩენილი როგორც მისი მშობლიური კოლხეთისა.

ეგრისელმა ძალიან ბევრი ლექსი მიუძღვნა კახეთს. „ხსოვნა ზღვიდან“ ამოუნთებს ხოლმე საქართველოზე თავს დატეხილ უბედურებას, რაც „ქართლის ცხოვრებაშია“ გაცხადებული. მტერს დადევნებულ ყრმათა ყიჟინას, მამულის მკერდზე აფარებულ ვაჟკაცთა ხელებს, ჩახახუსს, ისრების წვიმას და „დგას შუამთა ჩანჩქერივით დაღალდაშლილი და საქართველოს შუბლგაჩეხილ წარსულს დასტირის“.

ვაჟა ეგრისელის ყოველი სიტყვა სველ ქაღალდზე წასმულ აკვარელს ჰგავს და მისით გაუდენთილი სივრცე სხვა ფერთა ჰარმონიაში შეუმჩნეველად გადადის, თითოეული ლექსი ნერვული ცახცახითაა აღსავსე და სიცოცხლის თავბრუდამხვევი სურნელი ასდის. როგორც ჭეშმარიტი მხატვარი, ის საკუთარ სულში აკაშკაშებულ მშვენიერ სახეებს ეაღერსება და მის ნაკეთებზე გამომკრთალი შუქიც ამ დიდი სინათლის ანარეკლია.

თამაზ ჭილაძეს აქვს ნათქვამი ტიცვიანზე, თითქოს კი არ წერდა, ხნავდაო...



ეგრისელიც კი არ წერს, ხნავს, ხნავს და თე-
ნავს. თანაც განა მარტო მიწაზე, ზეცაში და ზღვა-
ში. დიხაც ზღვაში ხნავს და ზღვაშივე თესავს... და
ეს სამწერტილიც დამატებით ოქროფერილ მარცვლე-
ბად შეუძლია მიითვალოს!.. “მის გუთანში წმინდა
სისხლის პეგასი იყო შებმული, როდესაც მის ღექ-
სებს კითხულობ, გრძნობ რომ არსებობს იდუმალი
კავშირი პროფესსიონალ, ვირტუოზ მუსიკოსსა და
აიმ კაცს შორის, რომელმაც პირველად ჩაბერა ხა-
რის რქას და უეცრად დაბადებული ხმა გაირკვა“.

„...პოეზიაში ოპტიმიზტების სულიდან არასოდეს
გადმოიღვრება ფსალმუნის მელოდია. დავით წინას-
წარმეტყველის ფსალმუნის ექოს გადმოსცემს მხო-
ლოდ პოეტის არსების შინაგანი სისხავსე, რამეთუ
მარტოდენ მდიდარ სულიერ სამყაროში იბადება მე-
ლოდია, რომელიც შემდეგ ღექსის სახით განსახი-
ერდება“. (აკაკი ვაწერელია, პროფესორი.)

ასეა განსახიერებული ეს მელოდია ეგრისელის
ღექსში:

*

„კახეთის ცაზე რომ ჰკიდია,
ვით ცისარტყელა,
სისხლდაწრეტილი არის წარსული –
შვიდგან უღმერთოდ გადაჭრილი ღურჯი ვენებით.
ხმალივით ელავს ალაზანი –
მარად მედინი.



და ალავერდი,

მშობლიური მიწის მშვენება –

ცისკენ აფრენას ლამობს გედივით“...

ჭეშმარიტი ლირიკული ნაწარმოები, – ბრძანებს თამაზ ჭილაძე, – გარკვეული მხრივ უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე ის ემპირიული სინამდვილე, რომელიც მას საფუძვლად უდევს. პოეტი ამ სინამდვილეს ამდიდრებს და ხელმისაწვდომს ხდის სიტყვიერი ქსოვილის ემოციური თვისების გამოყენებით. ნამდვილი პოეტური ნიმუში ხდება, მაშინ როცა სიმარტივესა და სინათლეს აღწევს“.

სხვა ლექსში, სადაც ისევ და ისევ წარსულის მღვრიე ლანდები წარმოჩნდებიან, რაც მშვიდი ჟამის დადგომას კი არა, მის შორეულ გამოჩენასაც კი ვერ გვიპირდებიან, ხმალივით მოელვარე ალაზნის პოეტური ხილვა მტერზე დამიზნებულ ისრის გასასროლად მზადყოფ მოზიდულ მშვილდად გარდაქმნის:

*

„ირაკლივით გადაჰყურებს კახეთს –

თბილად ცივკომბორი:

არც თურქი ჩანს, არც ხაზარი,

მაინც ჟამი არ ჩანს მშვიდი.

ალაზნის ველს ალაზანი –

მოუჭიმავს როგორც მშვილდი“.

რაც ამ სტრიქონებშია დაშიფრული, იქნებ რამ-



დენიმე ასეულმა გვერდმაც ვერ დაიტოს. ვერაფერს იტყვი. ასეთია ჭეშმარიტი პოეზიის მოუხელთებელი მაგიის ყოვლისშემძლეობა. სხვათა შორის, ვაჟა ეგრისელის ერთ ლექსს მეორე მოსდევს და თუ გემოვნება არ გლალატობს, მათი მდინარების დასრულებამ გული უნდა დაგწყვიტოს.

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ ლექსებში ამდერებული სიცოცხლე – კახეთის ცაზე ცისარტყელასავით ჩამოკიდებული წარსული, თბილად გადმოძყურე ცივგომბორი, გელივით ცისკენ ასაფრენად გამზადებული ალავერდი, მარადმედინი, ხმალივით მოელვარე ალაზანი – ისეთი მეტაფორული სახეებია, თითქოს რაღაც სასწაულის შთაბეჭდილებას ახდენენ თანამედროვე ადამიანზე და სიზმარისებურ ბურუსში გახვევენ და გაოცებენ...

ვაჟა ეგრისელის პოეზიის თემატიკა მრავალფეროვანია და მრავალწახნაგოვანი, მასში ნათლად იკვეთება ავტორის პოზიცია, მსოფლმხედველობა, მისი დამოკიდებულება გარესამყაროსადმი, იმ მოვლენებისადმი, რომლებიც მარადიული ფიქრებისა და განცდების ლაბირინთებში დაატარებენ პოეტს.

და მაინც თავგანწირვით, უდრტვინველად ბრძოლის, მუხლჩაუკეცავი შრომის ძლიერი სურვილით გემუხტავს ვაჟა ეგრისელის მეტად საგულისხმო ლექსი:



*

„მამა-პაპათა აჩრდილები –
თვლემენ ბორცვებთან,
მათი ხმა ახსოვს –
ციხე-ბურჯებს, ზვრებსა და მამითაღს,
რადგან სიცოცხლე მათაც თურმე
ჩვენებრ ტკიოდათ.
ჩვენ აღარ გვესმის,
მაგრამ, ალბათ,
დღით და ღამითაც –
ისინი ისევ გვიყვივიან საიქიოდან“.

„ჭკუა-გონებისა და გრძნობის ეს შენადნობი წონითაც და ზომითაც მხოლოდ უმაღლესი ხარისხის ნიშნითაა შეფასებული“ (ილია).

ამ ლექსით თვალწინ წარმოგვიდგება ფართო თვალსაწიერის მქონე ინტელექტუალი, დახვეწილი, საკუთარი თავისადმი მკაცრად მომთხოვნი, მაღალ-გემოვნებიანი შემოქმედი. პოეტს სწამს, რომ „ციური ნიჭი ქვეყნის სამსახურად და არა საპირადო რამედ ეძლევა კაცს და მწერლობა არის უძლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ“. (აკაკი).

შემოქმედებითი შრომა ბედნიერებაა, სიხარულია. ყოველი პოეტის მიზანია მკითხველს ასიამოვნოს, განაცდევინოს. მოულოდნელობის მომენტი ვაჟა ვერისფლის მხატვრულ სახეთა საფუძველთა საფუძველია:



*

„ქართლის ცისქვეშ,
როგორც სვეტიცხოველი.
რომ ვმდგარიყავ,
მეც ამდენხანს გაეძლებდი
და ვნახავდი მტერს
ქართველთა მობელიდს...
ცით და მიწით,
მზით და ციხე-ტაძრებით,
სამშობლოა –
ჩემი საგალობელი“.

მწველი ცეცხლის მგზნებარება გამოსჭვივის სტრიქონებში, რომელნიც ჩვენი დიდი წარსულის შავბნელ სურათს აღადგენს და მომავლის იმედის სხივის გამოსახვას რომ ეძღვნება:

*

„სამშობლოს ცაზე –
უეცრად რომ გადაირბინა,
მეხი კი არა,
მიაქროლებს უღაყს უბელოს –
დამარცხებული თურქთა ამირა.
კავკასიონზე მიმავალი
შავი ღრუბელი –
ჰგავს ლეგენდიდან გამოქცეულ
ღმერთკაც ამირანს“.



ეს ლექსი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ ვირწმუნოთ ვაჟა ეგრისელის გატაცება მამულის სიყვარულით, უნებურად დიდი ილია ჭავჭავაძე გამახსენდა, რომელიც ქვეყნის სავალალო ყოფით გუღდაღონებული შფოთავდა და დრტვინავდა:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის, ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაგუზიარო!“

ვაჟა ეგრისელისათვის მშობლიური გარემო, მისი პოეზიის საარსებო და მაცოცხლებელი წყაროა. უცვლელი და გარდაუვალია პოეტის წყურვილი სიცოცხლისა. სისხლით ხორცამდე შედუღებულა მშობლიურ მიწას და აღფრთოვანებულია ქართველ მამულიშვილთა გმირობით, მათი ზღვარდაუდებელ თავგანწირვას მამულისადმი ტრაგედიად განიცდის, რომელსაც აცოცხლებს ასეთ პოეტურ სამოსელში:

*

„ისტორიებში თარიღების
ისმის გოდება
და ომის სასწორს
აქანაგებს ბედი –
მისნური.
უამთატაძარში



საქართველოს
კენესის წარსული –
ასჯერ ნახმლევი და დაისრული,
სახელ-სამოსელ
შემოდარცვული“.

ცნობილი კრიტიკოსი სულხან ჟორდანიას წერს:
„ფიქრობენ რომ ტრაგიკული პოეზია უბედურებაა, მე
სხვანაირად ვფიქრობ, ტრაგიკული პოეზია გვაფხიზ-
ლებს და გვამაძლებს, ნადირის მშვიერი თვალით
გვიჩვენებს რეალობას, გვათავისუფლებს ყოველდღი-
ური წვრილგანცდისაგან. არა, ტრაგიკული პოეზიაში
ნამდვილად არაა უბედურება, ვინაიდან პოეზია ყო-
ველთვის ბედნიერებაა“.

ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის
განძია ვაჟა ვერისელის ორი ლექსი, რომლებიც ჩვე-
ნი საამაყო წარსულისადმია მიძღვნილი:

*

„გარდასულ დღეთა მესმის გოდება.

„ქართლის ცხოვრებას“

როდესაც გავშლი.

და ვედარ ვუძღვებ შემოსეულ ფიქრების ურდოს,
თუმც ჩემი ყოფნის ყვავილოვან პატარა ბაღში –

მზით შებუმბლული უამრავი

სიმღერა ბუდობს“.



*

სამარადისოდ რადგან გასწირეს –
მაჰმადხანებმა

და ედინებმა

მტკვარი, თბილისის მოურჩენელს მოჰგავს

ჭრილობას,

სადაც წყლისა და სისხლის მაგიერ –
მღვრიე წარსული მიედინება“.

ვაჟა ეგრისელი მის მიერ არჩეულ გზას ერთგულად მიჰყვება, როგორც ლექსების სტილით, ისე პოეტური თვალთახედვითა და ხასიათების გადმოცემის ფერთა პალიტრით. ლექსები დატვირთულია აზრობრივად და აღინიშნებიან ლაკონურობით. პოეტის ნაღვერდალივით მწველი სტრიქონები აღმგზნებია და გაღამდები, რომელიც ქართველი კაცის გენეტიკური არტისტიზმისა და პოეტური ნიჭიერების სიმბოლოდ იქცა, დიდი პოეტის ფეთქებადი ენერგია და ბოლოქარი ტემპერამენტი, რომლის ჯადოსნური მეტაფორების სამეფო ისევე განუმეორებელია, როგორც მისი ლირიკული ლექსის ორნამენტი. მას აქვს არაჩვეულებრივი უნარი ლირიკული ლექსის წერისა, რომ თითოეული ლექსი სულის დღესასწაულად აქციოს. ვაჟა ეგრისელის ძლიერი პოეტური ნება ანდამატივით გვიზიდავს და გვხიბლავს ჩვენ, მის თაყვანისმცემლებს. რა საოცარი პოეტური განცხადებაა:



*

„სიტყვა ღმერთია ცისა და მიწის –
მე ღავადგინე
და ღავაწესე
და წვით და ჯაფით მასთან მივედი.
„იქმენ ნათელი“ –

არის ჩემი ოქროს საწმისი,
მეც მზის შვილი ვარ, ვით აიეტი“.

თითქოს ქართული პოეზიის მთები დაიძრნენ და ვაჟა ეგრისელს გადაულოცეს ახალი მწერგალები, თითქოს აზრებმა და გრძნობებმა ახალი ელფერი შეიძინეს. თითქოს გაცოცხლდა საქართველოს ისტორია და გადმოიხედა ბუმბერაზი ვაჟა ფშაველასებური არწივის თვალთ. დიახ, როგორც თვალშეუდგამი მთა, ისე წამოიმართა ჩვენს წინაშე ვაჟა ეგრისელი, ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის, პატრიოტიზმის, კაცურკაცობისა და სამართლიანობის უებრო მომღერალი. ის ქართველი ეოლოსია, რომელმაც განუმეორებელი სილამაზით მხატვრულ სახეებში გამოხატა თვალისმომჭრელი მშვენიერება. აბა დაუკვირდით: ვაჟა ეგრისელის ღექსი სულის ზეიმია, შემოქმედებით სიახლისაკენ მუდმივი სწრაფვაა პოეტის უპირველესი დამახასიათებელი. მის თითოეულ ღექსში მთელი ცხოვრებაა ჩატეული. პოეტი თავდაუზოგავად იწვის და იფერფლება პოეტური ხელოვნების



სამსახურში. ტიტანურია მისი „კოლხური ფსალმუნები“. პოეტი მყარად დგას კოლხეთის მარად ბებერ და მარად ახალგაზრდა მიწაზე. მშობელი მიწის ღრმა ფესვებიდან ამოზრდილი მისი პოეტური სამყარო მუდამ სიახლითაა გაჯერებული. უფაქიზესი სულისა და უიშვიათესი ბუნების პატრონი ძალუმაღ გვაგრძნობინებს პოეზიის მარადიულობას:

*

„შენი ლექსი...

ციცქნა ლექსი,

დიდ ტილოებს მიტომ მეტობს,

„საიდუმლო სერობაა“

მასში დიდი.

ვითარც ფუნჯში –

ტინტორეტოს“.

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში წინაპართა გახსენების სტრიქონები სხვადასხვა ფორმებით აღინიშნებიან. პოეტს მამულის ისტორიული დიდებაც და ძნელბედობაც უდიდესი პოეტური ვნებებითა აქვს გადმოცემული. მისი ნებისმიერი პაწაწინა ლექსი უდიდესი ადამიანური გრძნობებითაა დამუხტული. ის გზიბლავს და აღგაფრთოვანებს არა მარტო მეტაფორებისა და ეპითეტების სიმდიდრით, რითმების სინატიფითა და სიტყვათწყობის თავისებურებით, არამედ თა-



ვისი ბიოენერგეტიკული დაძაბულობით, ექსპრესიულობის სიბრძნით და ფილოსოფიით.

„ვაჟა ეგრისელის ლექსები როგორც მუხათა სიმფონია, ტრფიალია სიცოცხლისა, საგალობელია უკვდავებისა, ამქვეყნიური სამოთხისა, ისინი გვაყვარებენ სამყაროს – „ძალითა მით ძლიერთა“. მისი ლექსები პოეზიის შედევრია“. (აკაკი ნარგიზიშვილი, აკადემიკოსი.)

ბატონი რევაზ კილაძე წერს: „ვაჟა ეგრისელის პოეზიის ერთი წვეთიც კი აუწონავი აზრისა და ზღვა შინაარსის ტევადობისა“. აკადემიკოსის ჭეშმარიტ ღაღადისს მინდა დავუმატო ქრისტეზე ნათქვამი პილატე პონტოელის ორი სიტყვის – „აი კაცი“-ს პერიფრაზა „აი პოეტი“. (ჯემალ ნაჭყებია, პროფესორი.)

პოეტი საქართველოს ყველა კუთხეს ეთაყვანება, არ დარჩა მთა, მდინარე დაბლობი, მაღლობი, ქალაქი, სოფელი, ციხე თუ ეკლესია. რომელთაც თავის შეუდარებელ პოეზიაში ვაჟა ეგრისელი არ მოფერებოდა, არ ემღერა, არ გაემხნეებინა, ან არ ეტირა მის ნანგრევებზე.

პროფესორი ბადრი სალუქვაძე წერს: „მესახება რომ ვაჟა ეგრისელის „გვირისტები“ თავის ერთობლიობაში საქართველოს წარსულზე აწმყოსა და მომავალზე დაწერილი ჰქონია, – ერთ ძარღვზე ასხმული გიგანტური ეროვნული პოეზიაა, რომელიც ლა-



იბნიცის მათემატიკური სიზუსტითაა გათვლილი: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. – ნაშენები ციხე სიმაგრეა და მას უამთასვლა ვერას დააკლებს, ის ხომ მუდამ დაცული იქნება მეციხოვნეთა სუროში გარდასული სულელებით“.

პოეტის არსებაში გამჟღავნდა დიდი ილია ჭავჭავაძის სულიერი ანდერძი: „მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა“. ამ რწმენით მისი თავკანკარა სტრიქონებიდან გაისმის სამშობლო ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის სიყვარულით აწკრიალებული ჩონგურის ღარების ხმა. მის პოეზიას დიდი სიღრმეები და შრეები აქვს.

პატრიოტიზმის საზომი იმის სიყვარულია, რაც უფალს ჩვენთვის გაუმეტებია და რაც ნაღვაწს ჩვენსას მისთვის მიუმატებია. არა განრიდება, არა მოკრძალებული თხოვნა-ვედრება სამშობლოსადმი მიიღოს მისი სამსახური, შეაძლებინოს ცოტად თუ ბევრად განდიდება მისი, მისი დადაფნა – აზრია პოეტის ცხოვრებისა:

*

„მომეცი ნება,

შემოვადო შენი კარები

და შემოგბედო კრძალვით და რილით –

არა ლოცვები, არც აღსარება,



არამედ სიტყვა

და გულისთქმა მცირე თუ დიდი
მომეცი ნება –

დაგიდაფნო სიმღერით შუბლი

და დავდგე ტინად,

დავდგე ქარაფად.

მარადისობა ხელთ ავიღო ვითარცა შუბი,

მომეცი ნება...

სანამ მაქცევ მტვრად და არაფრად“.

ციალა მუსხია

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა

აკადემიის აკადემიკოსი.

*ნაწევები წიგნიდან – სასწაული და ფანტაზია
(ფიქრები ვაჟა ვერსელის პოეზიაზე)*

გავრძელება შემდეგ ტომში



* * *

ღამეს ხელში ჩაუბღუჯავს,
აღარ უჩანს დანას ტარი
და დიღამდე ზოგს სიცოცხლეს
და ზოგს კიდევ სიკვდილს უსჯის.
თვით იგავი...

დაატარებ,
იგავებით სავსე ხურჯინს.

1989

* * *

მოსწრებაა ეს საწუთრო,
რადგან უამი ელვად მიჰქრის...
ბედნიერი არის იგი –
მინდვრის მხვნელი და მთესავი,
რომელმაც ჰყო ყანა იფქლის,
და მოიმკა დანტესავით.

2006



* * *

ვარსკვლავებით მონაქროლი
სიშორე და
ის აურა,
მთვარით შესამოსია.
ვლაპარაკობ იგაგურად
მეც,
ისე, ვით ოსია.

1991



* * *

ულმერთო და ურწმუნო,
ცისქვეშეთში არავინ,
იცო,

არ დაინდობა.

მიტომ დღისით ფანარით
ექვს ბრძენს და
მწიგნობარს.

2007



* * *

საიდანღაც მოისმის:
– განა ცა „შაპ-ნამე“-ა,
მუშტს რომ ცივად უღერთო!
უმზეო დღე –
 ღამეა,
 სიბრძნე, ვინ თქვა უღმერთოდ!

2001



* * *

მინაწერი პროფ. ლუარა სორდიას წიგნზე:
„გრაალის ორდენის რაინდები მყოცე
საუკუნის ქართულ პოეზიაში (გლაკტიონ
ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, ზვიად გამსახურდია,
მერაბ კოსტავა, ვაჟა ეგრისელი.“)

ჟამთა ბნელ უღრანიდან,
მოისმის ბღავილი აპისის;*
– ღმერთებმა ისინი დაინდეს!
ეჭვრეც: პონტოს „შორეულ ნაპირზე“ –
გრაალის ორდენის რაინდებს.

2009

* აპისი (ბერძნ. ეგვიპტე) – ღვთაებრივი ხარი.



* * *

მნათთა ხოდაბუნები,
არის მისი საყანე,
ცაში დადის ქუხილად.
და მას ჩემი თაყვანი –
წარუვალს და
უხილავს.

1980



* * *

ზღვა დელავს და ზვირთები,
როგორც რემა ჰუნების,
დგება ჯარი დიუმის.
თვითონაა ბუნება
ლექსი –
მარადიული.

1996



* * *

შენს ნაფეხურებს მზითმოსილს,
უფლის მადლი,
რომ ათოვდეს.
დადიხარ, როგორც თავადი
და თან იახლებ ათორმეტ
რჩეულს, რომ კაცობრიობა,
უღმერთოდ არ დაავადდეს!

1978



* * *

გზას მიუყვება დასავლით
მოვარე,
სულ ერთი ციდა.
ჭრიალებს ღამის კარი.
უნდა გარდმოსდე –
ციდან,
როგორც წვიმა და ცვარი.

2006



* * *

მიყვარხარ!

და ნუღარ გამცვლი,

ყველა მუდრეგსა და ოხერში!

შეხედე მთვარეს!

ის როგორც კაცი,

გზას მიუყვება –

ვარსკვლავებით მოხრეშილს.

1956



* * *

სინათლით სავსე უდგას ბარძიმი
და უკვდავება სადღაც
ნეტარებს,
აღარ აწუხებს ჟამი ნასყიდი –
შეზავებული ფუტკრის –
ნექტარით,
ლომის ეშვით და შხამით ასპიტის.

2008



* * *

ღღუ,

ღამე...

დაცემა...

ამაღლება...

ჯვარცმა და წამება საშინელი,

მოკვდავთა ღვთიური –

გეზი არი.

ნიადაგ, ვით ნილოს სინელი,

საიდუმლო სერობას

ეზიარე.

2001



გზა

წარსულის დიდ მინდორზე,
ვით ძველი ნაურმალი,
გზა მიდის უცნობი
და უმშვენიერესი:
ცდომილის უცდომლის –
ორთოდოქსის,
ერესის.

1991



* * *

გაეშალათ მცირე ტაბლა,
მუხლმოყრილებს –
ხსოვნის ბორცვთან,
და ცას ხელებს უწვდიდნენ:
აღუვლენდნენ ძველ-ძველ
ლოცვებს
უნათლესს და
უწმინდესს.

1996



* * *

შენ,

როგორ გგვანან

შენი მთები,

ადრე სუსტი იყვნენ,

ჩანს უჭირდათ!

ახლა კი მხრები მაღლა აუზიდავთ.

წყალს სვამენ ისინი

კოლხურ ჭიდან,

მომდინარს ქართულის დიდ

აუზიდან.

2004



* * *

ამ უღმერთო და ურწმუნო
ყოფაში ძალა შემატე
და ჩუმად მიესაღბუნე –
ბნელში დანთებულ კელაპტრებს:
ახალ აღთქმას და
„ფსალმუნებს“.

1991



* * *

ცის ლურჯ კაბადონიდან –
ვარსკვლავით მოწვევტილს,
ამბობ „სიტყვას სამეფოს“,
ღვთიურსა და კადნიერს,
ისე, ვითა ჩვეოდათ:
ნეტარ აგვუსტინეს და
კლიმენტ ალექსანდრიელს.

2005



ჰიპათია

პროფ. ლუარა სორდიას

ქალი ხარ...

გზას მისდევ სამეფოს
და რწმენის სასახლეს აშენებ,
ვითარცა უფლის სიმპათიას

და...

შურით შემოგცქერის წარსულიდან
ღვთის მონა,

ბრძენი ქალი –

ჰიპათია.*

2005

* ჰიპათია – ბერძენი ფილოსოფოსი ქალი, რომელიც 415 წელს ალექსანდრიის მორწმუნეთა ერთმა ჯგუფმა აწამა.



* * *

ცისკრის ზარზე ვარსკვლავები,
სიმყუდროვის უფსკრულებში,
კვლავ ცვივიან, ვით ბრიყვები.
ღამით – მთვარე და მზე – დილით,
მგოსანივით მიუყვება –
სიკეთის გზას,
სიბრძნის ბილიკს.

2004



* * *

წვედიადიდან მოსული,
ისევ მისდევ მზის წვედიადს...
და კაცს ქუდ-ბედ-
იღბლიანს,
ხელის გულზე გიწყვია –
ფსალმუნიც და ბიბლიაც.

1979



* * *

ქარის ცივი თითებით
ზღვა ქსოვს მთვარის
არშიებს
და მომძახის მშვიდობით –
აიეტის ნაშიერს
და ან-მარეს შვილობილს.

1988



ფსევდო-ლონგინე

ათასებში ერთი ჭრის
თავის ოქროს მონეტას,
სინათლეში,
სიბნელე,
სულ მუდამ იბოგინებს...
თვით პლატონიც ბაძავდა
„მწერლებსა და პოეტებს“,
(„ამაღლებულისათვის“)
ამბობს ფსევდო-ლონგინე.

2001



* * *

გამოჩნდა ღელვის კიდე,
სად ქარიშხალი ება.
და შენს მზესა და
მოვარეს,
კვლავ ხელის გულზე იდებ,
ვით დღის და ღამის
ღებანს.

1966



ღაზალები

სადგოთ სიბრძნის ეს ლექსები,
ისე,
ვითა დედამიწა,
კვლავ გარშემო მზის ტრიალებს –
რწმენის მარცვალს ესესება
არაბ ბერებს –
ქრისტიანებს.

1974



* * *

მეხთატეხამ სამყარო,
უცებ შეაზანზარა –
ახალ თვალახელილი.
და ცის კოშკზე გამოჩნდა
ელვა,
ვით ბალთაზარის,
ნადიმის დროს...
ხელივით.

1991



სიტყვის ბაღასი

პროფ. ციალა მესხიას

ბევრი ათასწლეულის
ზღვები რომ გადალახა
და ახლაც რომ ელის მზეს.
შენი სიტყვის ბაღასი –
მიცვალებულს აცოცხლებს,
ვით მენცარი ელისე.

1993



* * *

წარსულიდან მოსული,
ყალყზე მდგარი თეთრონით,
უძლეველი ხარ გმირი.
და შენ ურწმუნოება,
რწმენის შუბით –
განგმირე.

1973



* * *

რამაც უკიდევანო
სამყარო გააოცა...
და...
ბევრ,
სხვა ათასივით,
ვიღებ „ვეფხისტყაოსანს“
მე,
გრაალის თასივით.

1964



* * *

მარადიულ წყვლიადში,
რომ მზესავით გენათა,
გაწვიმდა და
გათოვდა, –
შუქი ციურ მნათობთა,
მადლი ზენათ-ზენათა.

1989



* * *

ჩემი კოლხი წინაპრის
სულს მაცხოვარს ვავედრებ,
სანამ პრესტორიის რკინის
კარებს მოვხურავ.
ბაბილონურ – მთვარის და
ეგვიპტურ – მზის კალენდარს,
მე ვკითხულობ კოლხურად.


1988



* * *

ესმის ცასა და ვარსკვლავებს,
იმისი გულის ბორბვა
და...
ფიქრის ოქროს
ძაფებს,
პოეტი ჩუმად ართავს –
ათასწლეულთა გორგალს.

2005



* * *

მღვარი სიშორის კლდეზე,
აღარ მაშორებს მზერას,
მუდამ თვალებში მიმზერს.
არყოფნის სხივით მზვერავს,
სიკვდილი არა,
მკვდრის მზე.

2007



* * *

პროფ. ტიტე მოსიას

ჟამთა ათასწლეულებმა

არწია და

ანანავა –

პონტოს პირას,

ნილოსს,

ფაზისს –

შენი სიტყვა – მანანაა,

გალობაა –

ზეცის ვაზის.

2001



* * *

არც წყურია და არც შია,
ზღვა ბავშვივით მაინც ტირის.
ზეცას მწუხრი შეაფრინდა
და ცას ავლებს შავ არშიას.
არ ჩანს გუნდი სერაფიმთა,
ვისმენ მხოლოდ
ფრთათა შრიალს.

1976



ხეში დიდი წინაპრების
დათესილი პურის ყანა,
რაც რომ ათასწლეულების
გრიგალებმა ჰგვეს და ცოცხეს,
ის „კოლხურმა ფსალმუნებმა“
იპოვეს და
გააცოცხლეს.

1980



* * *

ზამთარია...

ცას, ვით უფალს
მოუშვია თეთრი წვერი,
მიმწუხრისას ღამემ მთვარე,
მაღალ მკერდზე დაიბნია,
და მის შუქზე,
შენ ბიბლიას,
კითხულობ ვით წმინდა წერილს.

1984



* * *

ოთხი წმინდა სახარება,
ოთხ-ოთხ წმინდა
სანთელს უნთებს,
უფლის რწმენით ღამენათევთ –
ღვთისმეტყველებს
მეფის ტოლებს
ლუკას,
იოანეს,
მათეს,
და მარკოზის...
ეპისტოლებს*.

1991

* ეპისტოლე (ბერს.) – წერილი.

* * *

მე აღარ მჯერა წერა-მწერალის,
რადგანაც იგი ბრმაა
და ბეცი.

თუ არ აღირსებს ზეცის თაღს მეცხრეს,
არსთაგამრიგე „კოლხურ ფსალმუნებს“,
ბაბილონიით
არ მიუგდებს ბუნაგად
მხეცებს...

1994



* * *

ვარსკვლავნი შემოსხდომიან
მთვარის კერას და
მღერიან –
„კრიმანჭულსა“ და „ჩაკრულოს“.
ზღვა არის თასი გრაალის,
და ზღვის მუსიკა სხვა არის,
ქარის სიმებზე დაკრული.

1984



* * *

პოეზიის ტყავში გასულს,
ცა – გეძახის
გიფარავო,,
და მოჰპარე ფიჭა ბუკებს.
არსთგამრიგემ,
ვით ფარაონს,
გიწილადა მარადისი
სიჭაბუკე.

2005



* * *

ოხოპინტრეს დაეძებს და,
დოფაჩილთან ტყაში მაფა,
ვნების მღეღვარ მორევს უვლის.

შენ კი...

უღრან ტყეს მიკაფავ,
ბასრ სტრიქონთა –
ორღესულით.

2004



მ ე ბ ა ლ უ რ ი

გაქვს საუნჯე უღევი,
გასცემ სანამ აღრვა,
ციო ხმა გესმის –
„ნადურის“.
და შენ, როგორც სიმონი,
ანდა, როგორც ანდრია,
ქრისტეს ძეოა გულების –
გსურს იყო მებადური.

2003



* * *

მწვერვალივით თავმოძვონე,
დიდგულა და
ზღვისებრ ურჩი,
შეებრძოლე ურჩსულს –
ახმასს.

ვახშე,
ძლივსლა გადაურჩი,
მის დაბჩენილ წითელ ხახას,,

1991



* * *

ჩაუვლიათ გრგვინვით ათასწლეულებს,
მაინც ახსოვთ წვიმა და
წყალდიდობა
მთვარის მთებს და ვარსკვლავების
მადლობებს,
კაეკასიონს – ნოეს კოლხურ
კიდობანს,
სადაც ჩემი წინაპრები სახლობდნენ.

1972



* * *

ის სხვა არის...

სადაც რომ ზის,
იქ მარტოკა უნდა იჯდეს,
თავს ამაყად რომ გიტოლებს,,,

შენ კი ბედი გამოგლიჯე
ვეფხვისა და ლომის ტორებს.

2008



ჩე გოლასთან

მილიონი წლის მერე,
ჩე გოლასთან* ისე, ვით
მაღალ მთაზე ქორიბის,
მაყვლის ბუჩქს რომ აალებს.
არის ოქროს საწმისი,
ანდა თასი გრაალის.

1993

* ხე გოლა – თეთრი მთა, მდებარეობს სამეგრელოში.



თ ბ ი ლ ი ს ი – 1992

სუფევს სიძულვილის ჭირი,
ქართველების შემმუსრავი.
მზეს ამოსვლა არ სურს დილით,,,
ახლა უამი უდგას თბილისს,
როგორც მაშინ...
იერუსალიმს.

1992



კოლხეზა და იბერეზ

ზღვისპირ ენთოთ კოცონი
კოლხეზა და
იბერეზ.

და მღეროდნენ კოლხურად
ძველ,

წარღვნამდელ სიმღერეზ.

შენც მღერიხარ სულ ახალს...

თუ უცეზ არ წარგტაცა

სიკვდილმა და

სიბერეზ.

2008



* * *

ვითარც სიტყვა ჭეშმარიტი,

არა ფუჭი და

რიოში.

ისე თბილისს და ერევანს,

რომს და პარიზს

და ჩიკაგოს,

შენი ღვინო, სხვის ღვინოში

არასოდეს აერევათ,,


2007



* * *

მოდიმარი და ნათლით მოსილი,
მთვარე მოდის,
როგორც უფლის მხევალი,
მეხოტბენი მისი არ ილევიან.
ობლად მდგარი ღამე –
ვარდის ხე არის,
ვარსკვლავები მისი ყვავილებია.

1998



* * *

ხობის პირას ხედავ აჩრდილს,
თოფით ხელში,
ვით იაშვილს.
გეშინია ცის მოხურვის,,
„ეფუთში“ და ბიბლიაში,
ისმის ხმები ძველკოლხური.

1964



* * *

ხედავ ათასწლეულებში,
ცეცხლითა და
მახვილით
თავებს ერთურთს ახლიან...
და რაც შენ დაიკელი,
შენს წიგნებში მარხია, –
სული –
ძველი კოლხეთის –
ტროა-კრეტა-მიკენის.

2007



* * *

დრომ გაავლო ყველას მუსრი,
ვინც თქვა ყოფნა
ქვაზი არი.

შენ, ვით მეფე ქეიმურსი,
ვეფხისტყავით მოსავ
კოლხეთს,
რომ ღვთის სიბრძნეს აზიარო.

1993



* * *

წარსულის დღეები –

მოდინ წყვდიადში,
გზას ვეღარ იგნებენ,

ხელს უშლით ავსული.

კრთის შენი წიგნები –
მზის ბეჭედდასმული.

2008



მ ა მ ა ღ ა ვ ი თ ზ ე

დგახარ მამადავითზე
და სიმაღლეს უჩივი,
ღამეს მთვარე მოუჩანს,
როგორც ძვალი ღავიწის.
შენ კი ცეცხლი გეხვევა
ტანზე მაყელის ბუჩქივით,
მაგრამ მაინც არ იწვი.

2007



* * *

შორეთიდან მოსული,
უფალმა შეგიწყალოს,
ვითარცა ჩვენს დიდ იმედს.
შენ ხარ წმიდა მთის წყარო,
სიცოცხლედ
რომ იდინებს.

2001



რ ო უ ზ ი

მთვარე არა,
მზე არის,
ცას წერტილად რომ უზის.
ქრისტე არის კუნძული,
ღვთის მადლით
დახუნძლული,
ამბობს მღვდელი როუზი.

2007



* * *

შორეულზე შორეულმა –
იმ დღეებმა გარდასულმა,
სიხარული მეც მარგუნეს.
არა ჩხუბითა და დავით,
ბიბლიიდან ვუხმოზ დავითს,
თვით ბიბლიურ მეფსაღმუნეს.

2005



* * *

შუბად ნატყორცნ მინარეთებს,
მთვარის სახით –
დაცქერს ბუდა.
აქ დღეებმა მზე გაფინეს.
და გალობის
დარი უდგათ,
ქართულ ცისქვეშ სერაფიმებს.

1992



ტ ა ძ რ ე ბ ი

მასში ბინადრობენ შოორეული
სული მაკრისების და
მაკრალების,
კელტებისა და საგების...
და ათასწლეულებში გაძლებენ –
ქართული სიტყვის –
ასტონიანი ქვებით ნაგები,
შენი „კოლხური ფსალმუნების“ ტაძრები.

2007



* * *

აღბათ უფლის იყო ნება,
თუ შენი მზე,
არ მზეობდა,,,
ჩანგს და ებანს არ მისტირი,
რადგან იღებ „მადლს ზემოდან“,
დავით ბრძენის –
ფსალტირით.*

2001

* ფსალტირი – დავით წინასწარმეტყველის მუსიკალური საკრავი.



* * *

შენს ხმაში მძვინვარებს
სიმაღლე სამუშის
უფალმა ასე დააწესა
აღარც გრაალია
და აღარც საწმისი,
უკოლხეთოდ და
უკოლხურფსალმუნოდ.

2008



* * *

გელის ათასწლეული

ათობით და ასობით.

მიხვალ თავაწეული

და თან მიგაქვს მოსული

ციდან –

„პური არსობის“.

2001



* * *

არსთგამრიგე, როგორც იობს,
სიყვარულით ბევრჯერ
გცდიდა
და ბევრ ჭირსაც გაუძელი.
მოწეული არის ციდან –
შენი ღვინო
და ყურძენი.

2001



* * *

სიყვარულის ცეცხლი უნდა,
ჩუმად რომ მოგვიკიდოს.
სამს კი არა,
ერთ ღვთაებას
ეროს – ამურ – კუპიდონს.

1959



* * *

ვითარც ქნარმა სულიწმიდის,
მოსვლის დღიდან
ადამის ძის,
ღიღი ცოდვა ზურგზე იდე.
და მზითმოსილ სიტყვით გადე
ცის და მიწის შუა ხიდი.

2009



* * *

დრტვინავს შავი უდაბნო –
ელვა მიჰყავს ღვთისმშობელს,
ყრმას დაეძებს ჰეროდე,
მღვდელმთავრები
შიშობენ...
ჩანგო, უნდა მღეროდე,


1973



* * *

წარსულში ხშირად გახედებს
გული ნაიარები.
მოშურნეთ
დაამუნჯებთ
დაუთვლელი ღარები,
ხილვა შენი საუნჯის.

1994



თომა მეწოფელი

მეფობდაო ფარნავაზი,
ამბობს თომა მეწოფელი*,
(ჩვენი ძველი მეზობელი.)
ის, ხაზარ-ოვსნ-ძურძუკებს,
თვლიდაო თვის ერთგულ ხალხად,
მეგობრად და
ძუძუმტედ.

1993

* თომას მეწოფელი – სომეხი მემკვიდრე (XI ს.).



* * *

ღამეს გამოქცეული –
შორეული ოცნება,
ცისკენ ისე იურვის,
ვითარც სული –
ბორცვების
და ხმა უვერტიურის.

1984



* * *

მარადისობის ღურჯ ზღვაზე
შენი სული,
ვით თოლია,
იფრენს, ვერ დაღლის არავი*.
შენ რომ უფალი გყოლია,
მსგავსი,
არ ახსოვს არავის.

2008


* არავი – სამხრეთის ქარი.



* * *

მთაზე კავკასიონის
იწვის მაყვლის ბუჩქივით
მზე...
და ხსოვნა შორი გზის.
ლეგენდებმა წაღეკეს,
ვითარცა მთა ქორიბის,
ურთის მთა და
მთა ეკის.

1996



* * *

ციდან მთვარეულივით,
ვიღაც ყივის - რამზეს,
რომ გიხარია,, -
სიყვარული - ბზა, მზე,
გზა და ფარია.

2004



* * *

სიბრძნის ნისლით დაფარული –
სინათლე და
ზესთა მადლი,
შორს მიმავალს დამაწიე,
თუნდ, რომ გაეცდე,
ერთი ადლით,
ცის და მიწის თვალსაწიერს.

1987



* * *

სიძულვილით სნეულებმა,
რა იციან უვიცებმა,
სიყვარული რომ
გაცივებს,
რომ ისმენ ცის გულისცემას
და ვარსკვლავთა –
ოვაცივებს.


1986



ქართული ჰიდაობა

უფლისაგან მოგონილი,
შორეულზე –
შორეული
ჰიდაობა ქართულია,
ჩვენია და აქაური:
„მოგვერდია“,
„იღლიგორა“,
შუა სარმა და შუაკაური.

1998



* * *

შენს მოსვლამდე ჩემს კოლხეთში,
ღმერთი უნდა დაეჭიდოს
და მოენგრეს მთებს
ლოდები.

შენ ხარ ჩემი საესავი
და წუთი-წუთ გელოდები,
ვით იაკობი,
ესავის.

2005



* * *

მთვარის მოხრილ შავ პალოზე,
ღამე მოხვერივით ება
და იქ ვიღაც –
დღეს უხმობდა.
და უკრავდა ვარსკვლავების
სიმებიან –
ოქროს ებანს.

2004



* * *

ცაა –

სულთა სამეფო,
მაგრამ დედამიწაზე,
არ იციან რა ჰქვია
როკაპ ბებერს ცოცხზე მჯდარს,
საზარელ მხეცს –
რვარქიანს.

1979



* * *

მესთა-ტეხით შენს ცაზე
წლებმა გადაიგრგინეს,
უკვე გამოიდარა
და ბედს ნუღარ ენდური.
სიკვდილის და სიცოცხლის
საზღვარს გადაამეტე
თვალში შემოგციცინებს სხივი
ტრანსცენდენტური,
და სტუმრობის შიში აქვთ შენი,
უცხო პლანეტებს.

2001



* * *

ამირანტის მთაზე ვდგავარ
და გავეურებ კოლხთა
წარსულს,
ღელავს პონტო...
შავი ღღეა
მზე თან მიაქვს მეფის ასულს,
არც კირკე ჩანს
და არც რეა.

1991



* * *

ზესკნელში და ქვესკნელში,
ასი ათასწლეული,
რადგან ღოცვას არ იშლის.
გრაალია –

შავი ზღვა,
სავსე სიბრძნის ქარიშხლით.

2004



* * *

ჟამთა შავი ქვამარილი –
ცის ვეება ფილთაქვაში,
ვარსკვლავებმა უნდა ნაყონ.
სანამ მთვარეს ზღვა ამოთხრის.
შენ მიირთმევ –
უტკბესს ნაყოფს,
მაღალი ხიდან სამოთხის.

1984



* * *

ხმა მგოსნის და სინათლის
დედამიწას ათბობენ...
და უფლის შიშს

ამეტებს

ბნელში –

ელვა მნათობის,
და ხმა –

უცხო პლანეტის.

2006



* * *

ლეგენდებით დათოვლილი –
იგავეების კლდე დგას სალი
აქ და...

თეთრი ღამეები,
ეშმას აღარ მონობენ.
შენ კი სიბრძნის ღვინით
მოვრალი,
საცალფეხო ბილიკს მისდევ, –
სულიერი გონების.

2006



* * *

გხმობენ ანგელოზები –
 პარნასის თუ
 სინას მთის,
თუმც მზე თვალებს გარიდებს,
